ხელშეკრულება №07/101

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი №CON140000018)

ქ. თბილისი, 30 ივლისი 2014 წელი

ერთის მხრივ, **სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი** (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **დავით აფრასიძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „იუჯითი"** (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **ერმილე სულაძის** სახით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20² მუხლის, „სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის N184 განკარგულებისა და ,,სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/-სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 7 მარტის N8 ბრძანების საფუძველზე, სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერის (შემდგომში - ლეპტოპი) 2014 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON140000018) (შემდგომში - კონსოლიდირებული ტენდერი) შედეგად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. ხელშეკრულება - წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითურთ.

1.2. შემსყიდველი-ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებ სშესყიდვას.

1.3. მიმწოდებელი-პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.4. ხელშეკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.5. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.6. ფორსმაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტის №FR/631/7-120/13 ფარგლებში პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერის ***(CPV – 30213100)*** შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა და რაოდენობა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1 565.98** (ერთი ათას ხუთას სამოცდახუთი ლარი და 98 თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ში აღნიშნული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 45 (ორმოცდახუთი) დღის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N17ა.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება);

ბ) განახორციელოს ანგარიშსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

მუხლი 5. ხარისხი და გარანტია

5.1. საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს, ხოლო მიწოდებული საქონელი უნდა იყოს იდენტური ხელშეკრულების დანართი N1-ში აღნიშნული მაჩვენებლების.

5.2. ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრულ საქონელზე გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში.

მუხლი 6. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება), რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს (საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსს **გიორგი ბასილაიას**), ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების განხორციელების დროს.

6.2. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში გამოასწოროს წუნი.

მუხლი 7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2. საქონლის მიღებას აწარმოებს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი **გიორგი ბასილაია**.

მუხლი 8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა–ლარი.

ბ) ანგარიშსწორების ფორმა–უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამის დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლოდღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში

უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.01%-ის ოდენობით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 6.3. პუნქტით განსაზღვრული პირობის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული საქონლის ღირებულების 0.01%-ისოდენობით.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების 8.2. პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.01%-ის ოდენობით.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

მუხლი 12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის`,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

მუხლი 16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი–შემსყიდველს.

მხარეთა რეკვიზიტები:

სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	**შ.პ.ს. „იუჯითი"**
მისამართი: ქ.თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამ №3-5	**მისამართი:** ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №17
ტელეფონი: 577 23 04 11, 577 23 77 74	**ტელეფონი:** 2 22 05 05
საიდენტიფიკაციო კოდი:№ 204861970	**საიდენტიფიკაციო კოდი:**№ 204892964
სს „ბაზის ბანკი"	**საბანკო რეკვიზიტები:** სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: CBASGE22	**საბანკო კოდი:**BAGAGE22
ანგარიშის ნომერი – IBAN GE36BS0000000000434269	**ანგარიშსწორების ანგარიში:**
(შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტი №FR/631/7-120/13)	№GE88BG0000000261644601
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	გენერალური დირექტორი
დავით აფრასიძე	**ერმილე სულაძე**

ხელშეკრულების საგნის აღწერა

N	შესყიდვის ობიექტი და ძირითადი მახასიათებლები	დაფინ. წყარო	განზ-ბის ერთ.	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	**HP Pro Book 455 Notebook PC** **Display:** „15.6“ LED უკანა განათებით, 1366x768 გარჩევადობა **Camera:** WEBCAM Integrated 720p HD **OS:** Free OS **Processor:** AMD Elite Quad-Core A10-5750M **Memory:** 4GB DDR3L SDRAM (1600 MHz) **HDD:** 500GB SATA 5400RPM **ODD:** DVD/RW **Warranty:** 3 Years	შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტი №FR/631/7-120/13	ცალი	2	782.99	1 565.98
საერთო ღირებულება მიწოდებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით **1 565.98** (ერთი ათას ხუთას სამოცდახუთი ლარი და 98 თეთრი) ლარი						

სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

დავით აფრასიძე

შ.პ.ს. „იუჯითი“

გენერალური დირექტორი

ერმილე სულაძე